თანხმობის წერილი

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმომწერი, შპს „ანი“ (ს/ნ 211322610), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვარულ ჭიპაშვილის (პ/ნ 01001014302) სახით (შემდგომში „მესაკუთრე/მეიჯარე“), როგორც ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი #22-ში მდებარე 601.80 კვ.მ.-დან 400 კვ.მ. კომერციული ფართის (საკადასტრო კოდი: # 01.10.15.010.035.01.03.500) და 170.10 კვ.მ.-დან 90 კვ.მ. სარდაფის (საკადასტრო კოდი: # 01.10.15.010.035.01.03.501) (შემდგომში „უძრავი ქონება/საიჯარო ფართი“) მესაკუთრე, თანხმობას აცხადებს, შპს „გასტრონომ საქართველომ“ (ს/ნ 418473547) (შემდგომში „მოიჯარე“) საიჯარო ფართზე განახორციელოს წარმოდგენილი ფოტომონტაჟით (იხ. დანართი #1) გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაოები სრულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მოიჯარე შპს „გასტრონომ საქართველო“ (ს/ნ 418473547) უფლებამოსილია, ხელი მოაწეროს მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ აქტს და დოკუმენტს და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული თანხმობის წერილში, მაგრამ საჭიროა უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

ამასთან, მოიჯარე შპს „გასტრონომ საქართველო“ (ს/ნ 418473547) უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტი წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ან/და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სრულად განახორციელოს ფოტომონტაჟით (დანართი #1) გაცემულ სამუშაოებთან დაკავშირებით მათთვის მინიჭებული უფლებები. დანართი N1. ფოტო - მონტაჟი

პატივისცემით,

შპს „ანი“-ს დირექტორი
ვარულ ჭიპაშვილი

ხელმოწერა: _____

ვარულ ჭიპაშვილი

12 ნოემბერი, 2026 წ.

ორი ათას ოცდაექვსი წლის თექვსმეტ ნოემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს, გვანცა მიქიაშვილს, ჩემ სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N10, მომმართა **ბატონმა ვარულ ჰიპაშვილმა** (დაბადებული 17.09.1969 წელს, საქართველოში, თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, ა მიკრო/რაიონი, კორპუსი 61, ბინა 40, პირადი ნომერი 01001014302).

მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე, თანხმობის წერილზე, ,,ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის „ზ" პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, შევამოწმე ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია.

მე, მას განვუმარტე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად წინამდებარე დოკუმენტზე, დამოწმებისას ნოტარიუსი, ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის, ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

1 ეგზემპლარზე 4 გვერდზე 4 ხელმოწერისთვის გადახდილია „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31-ე, 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159.1ბ და 166-ე მუხლის შესაბამისად,

ა) სანოტარო საზღაური: 16 (თექვსმეტი) ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 5 (ხუთი) ლარი;

გ) დღგ: 2 (ორი) ლარი და 88 (ოთხმოცდარვა) თეთრი;

სულ გადახდილია: 23 (ოცდასამი) ლარი და 88 (ოთხმოცდარვა) თეთრი.

საქართველოს ნოტარიუსი
გვანცა მიქიაშვილი

ვაჟა-ფშაველას გამზირი 22



გამოყენებული მასალები: დიბონდი, PVC, ორგმინა, ლითონის მილი, პენოპლასტი, სტიკერი, დიოდური განათება

[illegible]

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N261613425
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.11.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	გვანცა მიქიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 555 55 50 90
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97384475283726

სანოტარო მოქმედებისა და საწოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და
გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის
www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**